ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ამირან ცინცაძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. დავით ანანიძე, ქედა, ხულოშვილის ქ. №13, 599279562
2. ნინო შოთაძე, ქედა, სოფ. ბზიუბნე, 577414607
3. ბადრი ფალავანდიშვილი, ქედა, სოფ. ზვარე, 599234129

პ ე ტ ი ც ი ა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 124-მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის N5 დადგენილებით დამტკიცებული აქვს „ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესი.

მიგვაჩნია, რომ საკრებულოს წევრის ანგარიშვალდებულების არსებული წესი/პროცედურა არის ზოგადი, მოიცავს წელიწადში ერთხელ (არაუგვიანეს 1 ნოემბრისა) მოსახლოებისათვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას, ხოლო ანგარიშის ფორმა და სტურქტურა არ არის განსაზღვრული. საკრებულოს წევრის საქმიანობის გაუმჯობესების და მისი საქმიანობის შესახებ მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულების ხარისხის გაზრდის მიზნით აუცილებელია, რომ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის ზოგადი წესი აისახოს რეგლამენტში, ანგარიშის წარდგენა გახდეს სავალდებულო, ანგარიშის წარდგენის პერიოდი იყოს კონკრეტული, ხოლო უშუალოდ ანაგარიში მომზადებული იყოს საკრებულოს მიერ დამტკიცებულ წესით, სტანდარტულ ერთიანი ფორმაში.

აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას გამოიწვევს „ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესშიც“ შესაბამისი ცვლილებების შეტანას

ზემოთქმულიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია.

პეტიციას თან ერთვის დანართები:
1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.
3. მოსაზადებელი ნორმატიული აქტის (დადგენილების) პროექტი
4. საკრებულოს წევრის ანგარიშის სტანდარტული ფორმის პროექტი

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:
1. დავით ანანიძე დ. [signature]
2. ნინო შოთაძე ნ. შოთაძე
3. ბადრი ფალავანდიშვილი ბ. [signature]

პეტიციის წარდგენის თარიღი: 21 აგვისტო 2017 წელი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსულია № 163/04
„21" „აგვისტო" 2017 წ.
ფურცელი 15 ძირითადი 1 დანართი 14

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 11.05.16წ. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016193) დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები.

1. **რეგლამენტის 124-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას**

2. **რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 124 [1] მუხლი**

„მუხლი 124 [1]. საკრებულოს წევრის ანგარიში

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მაინც, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში, მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს და საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ქედის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან წარდგენის წესი და საკრებულოს წევრის კვარტალური ანგარიშის ფორმა განისაზღვრება და მტკიცდება საკრებულოს შესაბამისი ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“.

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე

პროექტი

საკრებულოს წევრის საქმიანობის

ყოველკვარტალური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: _____

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: _____

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: _____

ფრაქციის წევრობა: _____

კომისიის (კომისიების) წევრობა: _____

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): _____

საანგარიშგებო პერიოდი: 20__ წლის __ კვარტალი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი

_____

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

_____

3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა

_____

4. საკრებულოს კომისიების სხდომების მონაწილეობის რაოდენობა

_____

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

_____

6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა

7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები

8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა

9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები

11. სხვა განხორციელებული საქმიანობები

შედეგი, ეფექტი:

განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული კონკრეტული შედეგი, ეფექტი მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან და ა.შ.

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები: